



სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური  
დირექტორის

ბრძანება № 117

2017 წლის 18 აგვისტო

ქ. თბილისი

2017 წლის მობილობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიების საგრანტო კონკურსის ფარგლებში  
წარმოდგენილი განაცხადის მოხსნის შესახებ

„მობილობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 9 ივნისის N96/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის, „2017 წლის მობილობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიების საგრანტო კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობებისა და საკონკურსო განაცხადის ფორმების დამტკიცების შესახებ“ - სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2017 წლის 22 ივნისის N78 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის პირობების მე-5 მუხლის „ვ“ პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის სპეციალისტის 2017 წლის 18 აგვისტოს სამსახურებრივი ბარათის (N960191) შესაბამისად,

**ვბრძანებ:**

1. 2017 წლის მობილობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიების საგრანტო კონკურსის პირობებთან შეუსაბამობის გამო, მოიხსნას საგრანტო პროექტი:

პროექტის შიფრი: MG\_CG\_23, პროექტის სახელწოდება „ევროინტეგრაციის აქტუალური საკითხები“

2. დაევალოს სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე.
3. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

მანანა მიქაბერიძე